

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების "Golden Grains"

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-17

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	5	1,145,917	831,297
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(430,379)	(361,500)
სხვა შემოსავალი	7	31,611	47,658
დასაქმებულთა ანაზღაურება		(294,351)	(178,735)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(104,199)	(106,635)
საპროცენტო ხარჯი	9	(28,529)	(43,790)
იჯარის ხარჯი		(12,000)	(12,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(116,444)	(103,496)
საოპერაციო მოგება		191,625	72,799
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,885)	104
მიღებული დივიდენდები		75,000	95,000
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		264,741	167,903
მოგების გადასახადი		(10,031)	(3,344)
წლის მოგება		254,710	164,559

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 სექტემბერს.

მთავარი ბუღალტერი
მარგალიტა გოცირიძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	5	1,145,917	831,297
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(430,379)	(361,500)
სხვა შემოსავალი	7	31,611	47,658
დასაქმებულთა ანაზღაურება		(294,351)	(178,735)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(104,199)	(106,635)
საპროცენტო ხარჯი	9	(28,529)	(43,790)
იჯარის ხარჯი		(12,000)	(12,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(116,444)	(103,496)
საოპერაციო მოგება		191,625	72,799
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,885)	104
მიღებული დივიდენდები		75,000	95,000
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		264,741	167,903
მოგების გადასახადი		(10,031)	(3,344)
წლის მოგება		254,710	164,559

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის
19 სექტემბერს.



მთავარი ბუღალტერი
მარგალიტა გოცირიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	2021	2020	2019
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	76,693	31,465	37,903
სავაჭრო მოთხოვნები	12	94,964	32,102	19,864
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		8,866	8,457	1,593
გადახდილი ავანსები		5,641	3,911	5,136
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	100,971	96,764	54,606
ძირითადი საშუალებები	8	1,069,909	1,196,823	1,219,060
სულ აქტივები		1,357,044	1,369,522	1,338,162
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	14	17,271	55,947	36,252
მიღებული ავანსები		4,847		
საგადასახადო ვალდებულებები	15	16,080	12,594	9,414
გადასახდელი დივიდენდები		12,632		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	16	137,922	18,500	121,342
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			265,139	265,139
სულ ვალდებულებები		188,752	352,180	432,147
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		368,956	368,956	368,956
გაუნაწილებელი მოგება		750,371	565,136	419,523
გადაფასების რეზერვი		48,965	83,250	117,536
სულ საკუთარი კაპიტალი		1,168,292	1,017,342	906,015
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,357,044	1,369,522	1,338,162

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 სექტემბერს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	212 894	207 351
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	21 000	(56 684)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(187 244)	(157 632)
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(46 650)	(6 965)
სავალუტო კურსის ეფექტი	(1 422)	527
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	31 465	37 903
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	76 693	31 465

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 სექტემბერს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	309,410	186,108	220,778	716,296
წლის მოგება	–	–	35,075	35,075
კაპიტალის ზრდა	59,546	–	–	59,546
წლის სხვა სრული ზარალი	–	(34,286)	–	(34,286)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	368,956	151,822	255,853	776,631
წლის მოგება	–	–	179,460	179,460
გაცემული დივიდენდები	–	–	(15,790)	(15,790)
წლის სხვა სრული შემოსავალი	–	(34,286)	–	(34,286)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	368,956	117,536	419,523	906,015
წლის მოგება	–	–	164,559	164,559
გაცემული დივიდენდები	–	–	(18,946)	(18,946)
წლის სხვა სრული შემოსავალი	–	(34,286)	–	(34,286)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	368,956	83,250	565,136	1,017,342
წლის მოგება	–	–	254,710	254,710
გაცემული დივიდენდები	–	–	(69,474)	(69,474)
წლის სხვა სრული შემოსავალი	–	(34,286)	–	(34,286)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	368,956	48,964	750,372	1,168,292

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 სექტემბერს.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „Golden Grains“ ს/კ 406 080 306 დაფუძნებულია 2012 წლის 16 ნოემბერს შემდეგ იურიდიულ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. კომპანიის დამფუძნებლები გახლავთ: 33% წილის მმართველი ფ/პ თათია თოფურია (პ/ნ: 01030011278), 33% წილის მმართველი ფ/პ ოქტაი ოზთურქი (პ/ნ: 01003019040) და 34% წილის მმართველი ფ/პ მეჰმეთ ენჯინ ბილსენ (პ/ნ: 34615723832, U05295069, S02722810 თურქეთი) კომპანიის მმართველობაზე, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები გახლავთ ოქტაი ოზთურქი და მეჰმეთ ენჯინ ბილსენი.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ლუდის წარმოების შედეგად დარჩენილი პროდუქტების შეძენა, გადამუშავება და რეალიზება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. აღნიშნული საქონელი გამოიყენება სოფლის მეურნეობაში პირუტყვის საკვებად. ასევე კომპანია ყიდულობს, ამუშავებს და ყიდის ლუდის წარმოების შედეგად დარჩენილ მეორად პროდუქტს არა ლითონური ნარჩენების სახით როგორცაა: მუყაო, ტომარა და სხვა.

შპს „Golden Grains“ პროექტ „აწარმოე საქართველოს ფარგლებში“ მიღებული აქვს მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ „აღდგომიანთ კარში“ მდებარე მიწა თავისი შენობა ნაგებობით. 2019 წლის მანძილზე მიმდინარეობდა ამ ნაგებობის რეკონსტრუქცია-რემონტი. 2019-2020 წლებიდან უკვე იწყება ლუდის წარმოების შედეგად არსებული ნარჩენების შესყიდვა და გადამუშავება სხვადასხვა ასორტიმენტის ცხოველური საკვების წარმოებისათვის.

კომპანიას ყოველივე ამ მიზნების განსახორციელებლად 2017 წლის მეორე ნახევარში აღებული აქვს აგრო კრედიტი 430 000 ლარი. 2018 წელს მოხდა კრედიტის გაზრდა 100 000 ლარის ოდენობით. სესხის ძირი თანხა და მასზე დარიცხული % დაფარვა მიმდინარეობს გრაფიკის მიხედვით. შეღავათიანი აგრო კრედიტის პირობა ითვალისწინებს აღნიშნული სესხის % თანადაფინანსებას წლიური 10%-ით (იხ. შენიშვნა 7). მოგახსენებთ, რომ კრედიტით სარგებლობის საპროცენტო განაკვეთი ჯამში შეადგენს 12%. თანადაფინანსებას ახორციელებს სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაცია ააიპ „სოფლის მეურნეობის პროდუქტების მართვის სააგენტო“.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი)

შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

3. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მიმდინარე ვალდებულებებს 98 383 ლარით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, მისაღებია.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

(ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ სავალუტო კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ბ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თავდაპირველი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო

ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
დანადგარები და მოწყობილობები	8-10 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3-5 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-8 წლამდე

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(გ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) ფინანსური აქტივები

ყველა ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ ფლობს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს: ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და კრედიტები.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით. სესხებისა და კრედიტების აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, რომელსაც ემატება გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები.

(ე) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო

მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა გადასახადების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა.

თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაზრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(ზ) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა.

(თ) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც

გრანტების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება ასეთი პირობების დაკმაყოფილების გრანტის არსებობის შემთხვევაში. როდესაც გრანტი შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა გრანტის სისტემატური მისადაგებისთვის იმ ხარჯებთან, რომელთა ასანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც გრანტი შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება მოგებაში ან ზარალში თანაბარი რაოდენობებით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში.

როდესაც „კომპანია“ იღებს არაფულად გრანტს, ეს აქტივი და გრანტი აისახება მიღებული არაფულადი აქტივების მთლიანი სამართლიანი ღირებულებით.

(ი) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

5. ნეტო ამონაგები

	2021	2020
პირუტყვის საკვების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	1 048 490	767 133
არალითონური ნარჩენების რეალიზაციით მიღებული ამონაგები	68 069	55 359
მომსახურებიდან მიღებული ამონაგები	29 358	8 805
სულ ამონაგები	1 145 917	831 297

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	395 632	289 289
გადამუშავების ხარჯი	34 747	72 211
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	430 379	361 500

7. სხვა შემოსავალი

	2021	2020
სახელმწიფო სუბსიდია	31 611	47 658
სულ სხვა შემოსავალი	31 611	47 658

სხვა შემოსავალი წარმოადგენს აიპ „სოფლის მეურნეობის პროდუქტების მართვის სააგენტო“-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე აღებული სესხის პროცენტის თანადაფინანსების შედეგად მიღებულ სუბსიდიას.

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	დანადგარები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	26,885	856,733	732,432	9,219	25,231	1,650,500
შემოსვლები	-	118,684	-	-	-	118,684
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	26,885	975,417	732,432	9,219	25,231	1,769,184
შემოსვლები	-	4,577	6,994	-	-	11,571
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	26,885	979,994	739,426	9,219	25,231	1,780,755

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	0	72,229	330,236	8,126	20,849	431,440
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	48,771	55,177	497	2,190	106,635
რეზერვის შემცირება	-	-	34,286	-	-	34,286
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	0	121,000	419,699	8,623	23,039	572,361
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	49,237	52,473	297	2,192	104,199
რეზერვის შემცირება	-	-	34,286	-	-	34,286
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	0	170,237	506,458	8,920	25,231	710,846
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	26,885	784,504	402,196	1,093	4,382	1,219,060
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,885	854,417	312,733	596	2,192	1,196,823
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,885	809,757	232,968	299	0	1,069,909

9. საპროცენტო ხარჯები

	2021	2020
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		
საპროცენტო ხარჯი	28 529	43 790
სულ საპროცენტო ხარჯები	28 529	43 790

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
საკონსულტაციო ხარჯები	9 265	13 157
საგადასახადო ხარჯი	12 321	13 067
საწვავის ხარჯი	13 435	11 032
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	21 605	7 201
დაზღვევა	5 971	6 343
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	4 719	5 472
საწევრო შენატანების ხარჯი	900	3 200
სამეურნეო ხარჯი	8 094	1 905
საბანკო მომსახურების ხარჯი	1 719	1 830
წარმომადგენლობითი ხარჯები	1 311	-
ტრანსპორტირების ხარჯები	280	-
მივლინების ხარჯი	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	36 827	40 289
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	116 444	103 496

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021	2020
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	64 298	23 512
ნაღდი ფული სალაროში	12 395	7 953
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	76 693	31 465

12. სავაჭრო მოთხოვნები

	2021	2020
მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები		
საქონლის მიწოდებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნები	94 964	32 102
სულ მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები	94 964	32 102

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	54,606
შემოსვლები	367,151
გასვლა	-324,993
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	96,764
შემოსვლები	384,629
გასვლა	-380,422
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	100,971

14. სავაჭრო ვალდებულებები

	2021	2020
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები		
საქონლის შესყიდვებიდან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულება	17 271	55 947
სულ მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	17 271	55 947

15. საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
საგადასახადო ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	16 080	12 594
სულ საგადასახადო ვალდებულებები	16 080	12 594

16. სასესხო ვალდებულებები

	2021	2020
მოკლევადიანი საბანკო სესხი	137 922	18 500
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	137 922	18 500
გრძელვადიანი საბანკო სესხი		265 139
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		265 139
სულ სასესხო ვალდებულებები	137 922	283 639

კომპანიას გააჩნია სს „საქართველოს ბანკი“-სგან აღებული საბანკო კრედიტი, რომლის დარჩენილი ნაწილის დაფარვაც გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებულია 2021 წელს. შესაბამისად დაკვალიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი სესხი

17. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2022 წელს ქვეყანაში სრულდება გლობალური პანდემიის მიერ გამოწვეულ სირთულეებთან ბრძოლა, გახსნილია ავია-მიმოსვლა, რამაც ხელი შეუწყო 2021 წლის ეკონომიკურის გარემოს მეტნაკლებად დასტაბილურებას, შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდის ტენდენციები. მთავრობის დადგენილებით გრძელდება ღონისძიებები გლობალური პანდემიის შედეგად გამოწვეული ზარალის შესამცირებლად საგადასახადო შეღავათების კუთხით. კომპანია გადის მისი წარმოების და რეალიზაციის საპროგნოზო მაჩვენებლებზე, გეგმავს წარმოების განვითარებას ახალი ხაზების დანერგვას და გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციას.